

შპს ბიქეი დისტრიბუშენ-ის ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

Type text here

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31 დეკემბრის მდგომარეობით	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	6
4. ფული და ფულის ექვივალენტები.....	9
5. სავაჭრო მოთხოვნები	9
6. სავაჭრო ვალდებულებები.....	9
7. შემოსავალი მომსახურებიდან და მომსახურების მომწოდებლების ხარჯები.....	10
8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	10
9. ხელფასები და სხვა სარგებელი.....	11
10. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	11
11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	11

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31 დეკემბრის მდგომარეობით

საბალანსო ანგარიშგება	შენიშვნა	31-12-21	31-12-20	31-12-19
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	860,617	1,990,838	1,436,691
სავაჭრო მოთხოვნები	5	9,134,117	10,064,514	3,217,050
სხვა მიმდინარე აქტივები		-	61,578	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		9,994,734	12,116,930	4,653,741
სულ აქტივები		9,994,734	12,116,930	4,653,741
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	6	11,070	3,160,815	968,959
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		395	136	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		11,465	3,160,951	968,959
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		3,684	-	-
გაუნაწილებელი მოგება		9,979,585	8,955,979	3,684,782
სულ საკუთარი კაპიტალი		9,983,269	8,955,979	3,684,782
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		9,994,734	12,116,930	4,653,741

დირექტორი



ლევან ჯორბენაძე

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

მოგება-ზარალის ანგარიშგება	შენიშვნა	31-12-21	31-12-20
შემოსავალი მომსახურებიდან	7	44,979,914	27,849,345
მომსახურების მომწოდებლების ხარჯები	7	(33,843,061)	(19,438,025)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(9,630,935)	(4,599,897)
ხელფასები და სხვა სარგებელი	9	(42,016)	(1,513)
სხვა შემოსავლები		-	698,450
მოგება პროცენტებამდე და საკურსო სხვაობამდე		1,463,902	4,508,360
(ზარალი)/მოგება კურსთაშორის სხვაობიდან		(440,296)	762,837
მოგება დაბეგვრამდე		1,023,606	5,271,197
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		1,023,606	5,271,197

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	31-12-21	31-12-20	31-12-19
ნაშთი წლის დასაწყისში	8,955,979	3,684,782	-
წმინდა მოგება	1,023,606	5,271,197	3,684,782
საწესდებო კაპიტალის ზრდა	3,684	-	-
ნაშთი წლის ბოლოს	9,983,269	8,955,979	3,684,782

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ბიქეი დისტრიბუშენ დაფუძნდა 2018 წლის 11 ივლისს და წარმოადგენს თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს. კომპანია რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გლდანის რაიონის, ხიზანიშვილის ქ., N264-ში (თბილისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა). კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 400242377

კომპანიის დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელია უკრაინის მოქალაქე იევგენ კოვალევიჩი (EP406975).

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ინფორმაციული ტექნოლოგიების შესყიდვა და მიწოდება.

კომპანია საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს დირექტორი - ლევან ჯორბენაძე (პ/ნ 01013006518).

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ მისი საქმიანობა მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე. მის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.5040
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233

3.2 ძირითადი საშუალებები

კომპანიას ამჟამად არ აქვს ძირითადი საშუალებები, თუმცა სამომავლოდ ძირითადი საშუალებების აღრიცხვას განახორციელებს მსს ფასს-ის შესაბამისად. ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება.

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების ვადა; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

3.3 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანი იყო გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარება და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით.

მოგების გადასახადის 15 პროცენტიანი განაკვეთი უცვლელი დარჩა, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, “ნავთობისა და გაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა.

3.4 შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვეთოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და გაყიდვის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის

დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

კომპანია შემოსავალს აღიარებს დაპირებული საქონლის და მომსახურების მომხმარებლისათვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის და მომსახურების გაცემის სანაცვლოდ.

ხარჯების აღიარება ხდება გაწევისთანავე მოგება ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისაგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში არ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. თუ მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური სარგებელი წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება გონივრული გადანაწილების საფუძველზე.

3.5 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი გულისხმობს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და წლიური ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს, როგორც ვალდებულება და როგორც პერიოდის ხარჯი.

3.6 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს გაყიდვების, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფული განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე. კომპანია არ ინახავს ფულს სალაროში.

2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-21	31-12-20
ფული საბანკო ანგარიშებზე, ქართული ლარი	68	-
ფული საბანკო ანგარიშებზე, უცხოური ვალუტა	860,549	1,990,838
სულ	860,617	1,990,838

5. სავაჭრო მოთხოვნები

კომპანიის ყველაზე დიდ კონტრაქტორს 2021 წლის ბოლოსათვის წარმოადგენდა FIDELIO CONSULTING-ი.

2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები წარმოდგენილია ქვემოთ:

სავაჭრო მოთხოვნები	31-12-21	31-12-20
მოთხოვნები IT ტექნიკის მიწოდებიდან და მომსახურებიდან	9,134,117	10,064,514
სულ	9,134,117	10,064,514

6. სავაჭრო ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო ვალდებულებები წარმოიქმნება IT ტექნიკის შეძენისას და შესაბამისი მომსახურების მიღებისას.

სავაჭრო ვალდებულებები ძირითადად მოკლევადიანი ვალდებულებებია, რომელთა დაფარვის ვადა არ აღემატება 12 თვეს.

2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები წარმოდგენილია ქვემოთ:

სავაჭრო ვალდებულებები	31-12-21	31-12-20
ვალდებულებები IT ტექნიკის შესყიდვიდან და მომსახურების მიღებიდან	11,070	3,160,815
სულ	11,070	3,160,815

7. შემოსავალი მომსახურებიდან და მომსახურების მომწოდებლების ხარჯები

კომპანიის შემოსავლის ძირითადი წყარო არის ინფორმაციული ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ტექნიკის რეალიზაცია.

2021 და 2020 წლების განმავლობაში დარიცხული შემოსავალი და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

საერთო მოგების გაანგარიშება	31-12-21	31-12-20
შემოსავალი მომსახურებიდან	44,979,914	27,849,345
მომსახურების მომწოდებლების ხარჯები	(33,843,061)	(19,438,025)
შეძენილი IT ტექნიკა და მომსახურება	(33,843,061)	(19,438,025)
საერთო მოგება	11,136,853	8,411,320

8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს გაყიდვების, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა კატეგორიებად წლების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	31-12-21	31-12-20
იურიდიული და საკონსულტაციო ხარჯები	9,414,431	4,534,039
საბანკო მომსახურების ხარჯი	59,826	39,452
IT მომსახურების ხარჯი	34,945	-
ბუღალტრული მომსახურებისა და აუდიტის ხარჯი	23,909	-
ლიცენზიის ხარჯი	20,392	24,428
იჯარის ხარჯები	7,243	1,346
კომუნალური მომსახურების ხარჯი	1,741	-
სხვა ხარჯი	68,448	632
სულ	9,630,935	4,599,897

9. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. აღნიშნულ სარგებელში ასევე შედის კომპანიის წილი 2% საპენსიო სარგებელი, რომელსაც კომპანია უმატებს თანამშრომელს საკუთარი სახსრებით.

ხელფასებისა და სხვა სარგებლის ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ხელფასები და სხვა სარგებელი	31-12-21	31-12-20
სახელფასო ხარჯი	41,507	-
პენსია და სხვა სარგებელი	509	1,513
სულ	42,016	1,513

10. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

2021 წელს მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 21,888 ლარი.

11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას.